



გალთ & თაგარში
მშენიშვნისა და მომსახურების



ნედლეულის ბაზრის კვარტალური მიმოხილვა

10 ოქტომბერი 2025




ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი, CFA

ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, კვ/კვ*	ცვლილება, 2025 წლის დასაწყისიდან	ფასი 2022 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	265.0	+15.2%	+21.0%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	67.0	-0.9%	-10.2%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	10,225	+1.7%	+18.2%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,135.0	+7.6%	-5.8%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,495.5	-0.3%	+11.2%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	3,859.0	+16.8%	+47.0%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მკუბ სთ	37.1	-0.6%	-29.3%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	229.0	+4.6%	-0.9%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

*კვ/კვ გულისხმობს კვარტალის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერგეტიკა

ნავთობი

ნავთობის ფასი 0.9%-ით შემცირდა 3კვ25-ში, რაც მიწოდების ზრდითა და მოთხოვნის შესუსტებით იყო გამოწვეული. ფასი ვიწრო ღიაპაზონში მერყეობდა, რადგან მიწოდება-მოთხოვნის დინამიკა მეტ-ნაკლებად აბალანსდებდა ერთმანეთს, თუმცა, კვარტლის ბოლოსთვის მეტწილად პესიმისტური პროგნოზები გააქტიურდა.


კვარტლის დასაწყისში ნავთობის ფასები აპრილის დაბალი მაჩვენებლებიდან (\$58) აგვისტოს დასაწყისისთვის დაახლოებით \$68-მდე გაიზარდა, რაც განპირობებული იყო საზაფხულო მოთხოვნის ზრდით. ამასთან, OPEC+-ის მწარმოებლები აგვისტოსა და სექტემბერში ეტაპობრივად აგრძელებდნენ წარმოების ზრდას, თუმცა ბევრ წევრს უჭირდა მაღალი კვოტების შესრულება, რამაც მოკლევადიანი მიწოდება უფრო დაბალზე შეინარჩუნა ვიდრე მოსალოდნელი იყო. ელექტროენერგიის სექტორში მძლავრმა მოთხოვნამ (კონდიციონერა ახლო აღმოსავლეთში) და ჩინეთის სტრატეგიული მარაგების შევსებამ ხელი შეუწყო ამ მოცულობების ათვისებას და ფასი \$70-თან ახლოს შეინარჩუნა. OECD-ის ნავთობის მარაგებიც შედარებით დაბალი იყო, რაც ფასების შენარჩუნებას ხელს უწყობდა.

თუმცა, კვარტლის ბოლოს ბაზრის განწყობა შეიცვალა, როცა ყურადღება მომავალ თვეებში მოსალოდნელ პროფიციტზე გადაერთო. შედეგად, ნავთობის ფასმა სექტემბრის ბოლოს ბოლო სამი თვის ყველაზე მკვეთრი კლება დააფიქსირა. ტრეიდერები ფრთხილად იყვნენ ოქტომბრის დასაწყისში OPEC+-ის შეხვედრის წინ, რადგან ალიანსს შეეძლო ნოემბრისთვის კიდევ გაეზარდა წარმოება. რეალურად, საუდის არაბეთი ითხოვდა წარმოების მსხვილ ზრდას ბაზრის წილის დასაბრუნებლად, თუმცა რუსეთი უფრო ზომიერი ზრდის მომხრე იყო. აღსანიშნავია, რომ 5 ოქტომბერს OPEC+ ნოემბრის მიწოდების მოსალოდნელზე უფრო მცირე ზრდაზე შეთანხმდა - 137,000 ბარელი დღეში - რითაც წევრები ბაზრის წილის მიზნებისა და მომავალი ჭარბი მიწოდების შიშების დაბალანსებას ეცადნენ.

ამავდროულად, სეზონურმა ფაქტორებმა მოთხოვნა შეასუსტა - გლობალურმა ნავთობგადამამუშავებელმა ქარხნებმა შეამცირეს სიმძლავრეები, ზაფხულის მოგზაურობების პიკი დასრულდა, ხოლო აშშ-ში სანავის მარაგები გაიზარდა სექტემბრის ბოლოს დაბალი მოხმარების გამო.


შესაბამისად, 3კვ25 ნავთობის ფასების აღდგენით დაიწყო ზაფხულის ფუნდამენტური ფაქტორების დამსახურებით, მაგრამ დასრულდა ფასების კლებით, რომელიც მიწოდების ზრდისა და მოთხოვნის უფრო სუსტი პროგნოზით იყო გამოწვეული. ეს მოლოდინი მიმდინარე, მე-4 კვარტალსა და 2026 წელსაც ეხება.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRN00), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ენერგეტიკა

ბუნებრივი აირი


ბუნებრივი აირის ფასი 0.6%-ით შემცირდა 3კვ25-ში. ევროპის ბუნებრივი აირის ბაზარი მთელი კვარტლის განმავლობაში შედარებით კარგად იყო უზრუნველყოფილი და თავიდან აიცილა წინა წლის მსგავსი მარაგების შევსების ქაოსი. აგვისტოს ბოლოსთვის ევროკავშირის აირის მარაგები 76%-ზე იყო (~85 მილიარდი კუბური მეტრი) - ნაკლები გასული წლის რეკორდულ დონესთან შედარებით, მაგრამ ახლოს ოქტომბრის 90%-იან სამიზნესთან.

თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) უხვმა შემოდინებამ გადაფარა მილსადენის მოცულობების შემცირება, რაც ნაწილობრივ აზიის LNG-ზე შესუსტებულ მოთხოვნას უკავშირდება, რამაც ევროპისთვის გამოათავისუფლა ტვირთები. აზიელ იმპორტიორებს, განსაკუთრებით ჩინეთში, მე-3 კვარტალში მაღალი მარაგები ჰქონდათ, რამაც შეამცირა მათი LNG შესყიდვები და ევროპელ მყიდველებს საშუალება მისცა მარაგები ფასების აწევის გარეშე შეეცნოთ. ოქტომბრის დასაწყისისთვის ევროკავშირის მარაგებმა 83%-ს მიაღწია (~944 TWh) - ამ თარიღისთვის ყველაზე დაბალი 2021 წლის შემდეგ, მაგრამ მაინც საკმარისად მაღალი. მონაცემების მიხედვით, გასული ზამთრის ბოლოს (მარტი 2025) მარაგები მხოლოდ 34%-მდე დაეცა.

ევროპის ბუნებრივი აირის მიწოდების სტრუქტურა ფუნდამენტურად შეიცვალა. LNG ახლა ევროკავშირის აირის საჭიროებების დაახლოებით ნახევარს უზრუნველყოფს მოცულობით. პროგნოზის მიხედვით, 820 ტანკერი LNG-ის იმპორტი მოხდება მიმდინარე წელს (გასულ წელს 660), რათა კომპენსირდეს რუსული მილსადენის მიწოდების მკვეთრი შემცირება და ჩრდილოეთ აფრიკის უფრო დაბალი ნაკადები. შეერთებული შტატები ევროპის მთავარი LNG მომწოდებელი გახდა და 2025 წლის ამ პერიოდისთვის ევროკავშირის LNG იმპორტის 58%-ს შეადგენს. აშშ-ის ექსპორტის სიმძლავრის ზრდამ (მაგ. ახალი ტერმინალები მექსიკის ყურის სანაპიროზე) გამოიწვია აშშ-ის LNG მოცულობების 22%-იანი წლიური ზრდა 2025 წლის პირველ 7 თვეში.


თუმცა, LNG-ზე გაზრდილი დამოკიდებულება ფასების მეტ არასტაბილურობას იწვევს: ტრადიციული ნავთობზე ინდექსირებული მილსადენის კონტრაქტებისგან განსხვავებით, სპოტ LNG ფასები მკვეთრად რეაგირებენ გლობალური მოთხოვნის რყევებზე (მაგ. აზიის ბაზრებიდან). თუმცა, მე-3 კვარტლის განმავლობაში ევროპული TTF ბუნებრივი აირის ფასები საშუალო დონეზე შენარჩუნდა (€30-40/მეგავატ-საათის ფარგლებში). მთლიანობაში, ევროპის გაზის ბაზარი გამოირჩეოდა საკმარისად მაღალი მარაგების დონეებით, სტაბილური შემოდინებებით და შემცირებული მოთხოვნით - მკვეთრი კონტრასტი 2022 წლის კრიზისულ პირობებთან.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Index Dutch TTF), აშშ დოლარი/მგტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


ოქროს ფასი 16.8%-ით გაიზარდა 3კვ25-ში, რაც უსაფრთხო აქტივზე მოთხოვნისა და მონეტარული მოლოდინების ცვლილების ერთობლიობით იყო განპირობებული. ოქროს ფასმა სექტემბრის ბოლოს \$3,800/უნცია ბარიერი გადალახა და განაგრძო ზრდა ოქტომბრის დასაწყისში ისტორიულ მაქსიმუმამდე, რაც ერთ უნციაზე \$4,000-ზე მეტი იყო. ამჟამად, ოქრო წლის დასაწყისიდან დაახლოებით 50%-ით არის გაზრდილი - რეკორდული ზრდა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გრძელდება.

უახლესი მთავარი კატალიზატორი იყო აშშ-ის ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირების მოლოდინი. ინფლაციის ზეწოლის შემსუბუქებამ და დასაქმების ბაზრის შესუსტებამ ბაზარზე ფედის მიერ განაკვეთის კლების მოლოდინი გაზარდა. სექტემბრის შემცირების შემდეგ, ინვესტორები ახლა დამატებით 50 საბაზისო პუნქტიან კლებას ელიან წლის ბოლომდე (25 ოქტომბრის შეხვედრაზე, 25 დეკემბრის შეხვედრაზე), რამაც აშშ დოლარი სტაბილური კლების ციკლში გადაიყვანა (დოლარის ინდექსი იანვრიდან თითქმის 10%-ითაა შემცირებული). დასუსტებული დოლარი პირდაპირ ზრდის ოქროს მიმზიდველობას, ხოლო დაბალი საპროცენტო განაკვეთების პერსპექტივა ძვირფას მეთალს უფრო მიმზიდველს ხდის სახაზინო ობლიგაციებთან შედარებით.

გეოპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ოქროს ფასი. აშშ-ში ოქტომბრის დასაწყისში მთავრობის ე.წ. „shutdown-მა“ და პოლიტიკურმა დაძაბულობამ (მათ შორის ფედერალური რეზერვის დამოუკიდებლობის შესახებ დებატებმა) გამოიწვია უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნის ზრდა. სხვა პოლიტიკურმა მოვლენებმა - როგორცაა საფრანგეთის პრეზიდენტის გადადგომა და იაპონიის ეკონომიკის რისკებმა - გაზარდა ინვესტორთა სიფრთხილე. შესაბამისად, ისინი ჰეჯირების საშუალებად ოქროს მიმართავენ.


მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ ბანკებს კვლავ აქვთ მძლავრი მოთხოვნა. განსაკუთრებით, ჩინეთის ცენტრალურ ბანკს, რომელმაც ივლისის ჩათვლით ზედიზედ ცხრა თვის განმავლობაში იყიდა ოქრო. World Gold Council-ის მონაცემებით, მრავალი ცენტრალური ბანკი გეგმავს მომავალ წლებში ოქროს წილის დამატებით ზრდას რეზერვებში. ოფიციალური სექტორის ამ შესყიდვებმა, ოქროზე დაფუძნებულ ETF-ებში მასშტაბურ შემოდინებებთან ერთად (უდიდესი ოქროს ETF-ის მარაგები 2025 წელს დაახლოებით 12%-ით გაიზარდა 2022 წლის შემდგომ ყველაზე მაღალ დონემდე), უზრუნველყო ოქროს ფასის ზრდის ფუნდამენტური მხარდაჭერა.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

ამონიუმის ნიტრატის ფასი 15.2%-ით გაიზარდა 3კვ25-ში. 1 ივლისს ევროკავშირმა ახალი ტარიფები ამოქმედდა რუსული სასუქების იმპორტზე - მათ შორის ამონიუმის ნიტრატზე. ტარიფები, რომლებიც თავდაპირველად €40/ტონას შეადგენს, 2028 წლისთვის €315/ტონამდე გაიზარდება. ამ ნაბიჯმა ევროპაში სასუქების ღირებულება გაზარდა. რუსეთმა - სასუქების მსოფლიოს უდიდესმა ექსპორტიორმა - მიუთითა, რომ გაყიდვებს ალტერნატიულ ბაზრებზე გადაამისამართებს (განსაკუთრებით BRICS ქვეყნებში). ევროპის შიგნით ახალმა ტარიფებმა მნიშვნელოვანი გაურკვევლობა შექმნა. ევროკომისიამ განაცხადა, რომ ეფექტებს გააკონტროლებს და ტარიფებს შეაჩერებს, თუ სასუქების ფასები ზედმეტად მკვეთრად გაიზარდება.

ხორბალი


ხორბლის ფასი 4.6%-ით გაიზარდა 3კვ25-ში. მიუხედავად მცირე ზრდისა, გრძელვადიან პერიოდში ფასი კვლავ დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება, რაც გლობალურ უხვ მიწოდებასა და სუსტ მოთხოვნას ასახავს. 2025 წელს ნაყოფიერი მოსავალი იყო მთავარ მწარმოებლებში, მათ შორის ინდოეთსა და რუსეთში (რომელიც მარცვლეულს უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდანაც აექსპორტებს). ოქტომბრის ანგარიშში FAO-მ 2025 წლის გლობალური მარცვლეულის წარმოების პროგნოზი 2.97 მლრდ ტონამდე გაზარდა (თითქმის +4% წ/წ) მოსალოდნელზე უკეთესი ხორბლის, სიმინდისა და ბრინჯის მოსავლის დამსახურებით. კერძოდ ხორბლისთვის, 2025 წლის მოსავალი, სავარაუდოდ, რეკორდული ან რეკორდთან ახლოს მყოფი იქნება.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

სპილენძის ფასი 1.7%-ით გაიზარდა 3კვ25-ში. სექტემბერში ინდონეზიის გრასბერგის მალაროში (სიდიდით მსფოლოში მეორე) წარმოქმნილმა მეწყერმა ოპერაციები შეაჩერა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მიწოდების მოცულობა. ანალიტიკოსების შეფასებით, გრასბერგის შეჩერება ჯამურ წარმოებას დაახლოებით 590,000 ტონა სპილენძს დააკლებს 2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის ბოლომდე. ეს გლობალური მალაროების წლიური მოპოვების დაახლოებით 2.6%-ია. მოთხოვნის მხრივ, ჩინეთი კვლავ გადამწყვეტი ფაქტორია. უძრავი ქონების სუსტი სექტორის მიუხედავად, ჩინეთის მოთხოვნა სპილენძზე შენარჩუნდა, ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურასა და სპილენძ-ინტენსიური წარმოების ზრდის გამო.

ფეროსილიკონი


ევროპული ფეროსილიკონის ფასი თითქმის უცვლელი იყო (-0.3%) 3კვ25-ში, ხოლო ჩინური 7.6%-ით გაიზარდა. ამან ხელი შეუწყო წინა კვარტალში შექმნილი ჩვეულებრივზე დიდი სხვაობის შემცირებას. ევროპის ფოლადის სექტორში წარმოების სისუსტე გრძელდება - ევროკავშირის ფოლადის წარმოება 2024 წლის დონეებზე დაბლა რჩება. ამავდროულად, ჩინეთის ფოლადის წარმოება შემცირდა, თუმცა ექსპორტის მოცულობა და ნედლეულზე მოთხოვნა მაღალი დარჩა. ივლისის ექსპორტმა 9.8 ტონას მიაღწია (+1.7% თ/თ), 7ოვ25-ის ჯამი კი 68.0 ტონა იყო - პერიოდის რეკორდული მაჩვენებელი. ამ ტემპით, წლის ბოლოს ექსპორტი, სავარაუდოდ, 2015 წელს დაფიქსირებულ რეკორდს გადააჭარბებს.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტის მიმღებთან დაკავშირებით). ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge